საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მზეთამზე

მზეთამზე, სოფელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ბორჯომის მუნიციპალიტეტში (დაბა წაღვერის ადმ. ერთეული). მდებარეობს თორის ქვაბულში, ციხისჯვრის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. გუჯარეთისწყლის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1225 *მ*, ბორჯომიდან 18 *კმ*. 346 მცხ. (2014). მ. განსაკუთრებული მდებარეობისა და მრავალფეროვანი ბუნების წყალობით უნიკალური ადგილობრივი კურორტია. სოფლის ძვ. სახელწოდება სამძივისხევი უკავშირდება სამძივართა ცნობილ ფეოდალურ საგვარეულოს.

მ-ში შემონახულია ადრეფეოდ. ხანის რამდენიმე ქვაჯვარი.

სოფელს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი-თორი, ჯავახეთი, თბ., 1985.